

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

“უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განაპირობა “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” და “სახელმწიფო ბაჟის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” კანონპროექტების მომზადებამ. აღნიშნული კანონპროექტების შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი უქმდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეულ მომსახურებებზე და იმ მომსახურებებზე, რაზედაც სახელმწიფო ბაჟის გადახდა იყო გათვალისწინებული გადაიხდება მომსახურების საფასური.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ”უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” და “სახელმწიფო ბაჟის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” კანონპროექტებით გათვალისწინებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით ახლებურად ყალიბდება 65-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად, უცხოელები საქართველოში ბინდრობის ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვა-გადაწყვეტისთვის გადაიხდიან მომსახურების საფასურს “სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.დ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ფინანსურ გავლენას არ მოახდენს იმ პირებზე ვის მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი ან მოსაკრებელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს/დაწესებულებებს, ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არაინ საქართველოს პარლამენტის წევრები – ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.